ხელშეკრულება №128
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 12 / ნოემბერი / 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს იორ ბუილდინგ კომპანი-LTD YOUR BUILDING COMPANY” შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ჭაღალიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით (SMP180002217 > თანხმობა) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **შენობის დასრულების სამუშაოები - ქ. ბათუმში, ვ. ფშაველას ქ N5-ში მდებარე მე-2, ვ. გორგასლის ქ. N51-ში მდებარე მე-3 და ი.ანდრონიკაშვილის ქ N44-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღების მოულოდნელად დაზიანებული წყალგაყვანილობის მილების აღმოჩენა და მათი შეკეთების სამუშაოების შესყიდვა (CPV-45400000; 45431100; 45450000; 45431200; 45410000; 45440000)** (შემდგომში - „სამუშაო“);

1.2 სამუშაოთა ჩამონათვალი/სახეობები, მოცულობები, ერთეულისა და საერთო ფასები, განისაზღვრება ნაკრები ხარჯთაღრიცხვითა და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვებით N1,2,3, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **6695,13** (ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი და ცამეტი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

3.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო; ვალუტა - ლარი;

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების შესრულების შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოს მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. სამუშაოს შესრულების ვადა

5.1 სამუშაოები შესრულდება ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 15 ნოემბრამდე;

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოების წარმოების პროცესში სამუშაო ადგილის ავეჯისა და სხვა არსებული ინვენტარისაგან დაუზიანებლად გათავისუფლება (გადაადგილება) და სამუშაოების დასრულების შემდეგ მისი განთავსება შესაბამის ადგილებზე.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში არ აითვისოს სამუშაოების მუცულობა სრულად.

6. გარანტია - დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი

6.1 შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მირება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 12 თვეს;

7. ნორმატიული დოკუმენტები

7.1 სამუშაოს განხორციელების პროცესში შემსრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

8. გამოყენებული მასალები

8.1 ყველა გამოყენებული მასალა უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო საგანი, მოწოდებული კონტრაქტის ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი, სტანდარტული, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილების გამოყენება დაუშვებელია.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია ყველა ის მასალა, რომელსაც გამოიყენებს სამუშაოების პროცესში შეათანხმოს შემსყიდველთან, შემსყიდველის მიერ მასალების დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება დაუშვებელია.

8.3 მიმწოდებელმა დამონტაჟებამდე უნდა წარმოადგინოს გათბობის ქვაბის, საცირკულაციო ტუმბოს, პანელური რადიატორებისა და მილებისა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (სერტიფიკატი ან სხვა დოკუმენტი)

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

9.1.2 სამუშაოს შესრულების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.2.2 უზრუნველყოს სამუშაოს ჩაბარება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.4.2 უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით;

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

10.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს.

10.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე - დავით ჩხაიძე;

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის

და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

12.1 მიმწოდებლს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

12.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების საერთოდ შეუსრულებლობის საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

13.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა:

14.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს:

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს;

14.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

14.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

15. დავების გადაწყვეტა:

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. დაუძლეველი ძალა:

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

16.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ

გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

16.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17. სხვა პირობები:

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2018 წლის 12 ნოემბრიდან - 2018 წლის 20 დეკემბრამდე;

19. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მამუკა შამილიშვილი

მიმწოდებლი:

შპს „შპს იორ ბუილდინგ კომპანი-LTD YOUR BUILDING COMPANY“

იურ. მის: შუახევის რ-ნი, ს. ინწკირვეთი
ფაქტ. მის: ხელვაჩაურის რ-ნი, ს. კაპრეშუმი
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 427 734
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE86BG 0000 0009 9768 8300

რევაზ ჭაღალიძე

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

N	ხარჯთაღრიცხვის დასახელება და ნომერი	ობიექტისა და სამუშაოების დასახელება		ღირებულება
1	ლოკ. რეს. ხარჯთ. N1	N2 საბავშვო ბაღის რემონტი		1718,00
2	ლოკ. რეს. ხარჯთ. N2	N3 საბავშვო ბაღის რემონტი		1631,84
3	ლოკ. რეს. ხარჯთ. N3	N13 საბავშვო ბაღის რემონტი		2324,00
ჯ ა მ ი:				5673,84
დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)			18%	1021,29
სულ ჯ ა მ ი:				6695,13

ლოკალურ რესუსრსული ხარჯთაღრიცხვა N1

ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. N5-ში მდებარე მე- 2 საბავშვო ბაღის საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემის ნაწილობრივი აღდგენაზე

N	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა/ მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი	საერთო ფასი (ლარი)
1	კედლის გამოტეხვა	წერტილი	8,00	35,00	280,00
2	იატაკიდან გრანიტის აყრა	კვ/მ	3,20	5,00	16,00
3	კედლებიდან მოშლილი ბათქაშის ჩამოყრა	კვ/მ	6,00	1,00	6,00
4	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-32მმ ფიტინგებით 13 წერტილზე	გრძ/მ	10,00	40,00	400,00
5	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-20მმ ფიტინგებით	გრძ/მ	16,00	30,00	480,00
6	გამოტეხილი კედლების აღდგენა ბლოკით	კვ/მ	2,35	40,00	94,00
7	იატაკზე გრანიტის აღგდგენა	კვ/მ	3,20	35,00	112,00
8	კედლების დაბათქაშება	კვ/მ	6,00	10,00	60,00
9	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიის საღებავით (ფითხით ზეთოვანი - წებოვანი)	კვ/მ	18,00	15,00	270,00
	ჯამი				1718,00

ლოკალურ რესუსრსული ხარჯთაღრიცხვა N2

ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასლის ქ. N51-ში მდებარე მე-3 საბავშვო ბაღის საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემის ნაწილობრივი აღდგენაზე

N	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა/ მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი	საერთო ფასი (ლარი)
1	კედლის გამოტეხვა	წერტილი	4,00	35,00	140,00
2	იატაკიდან გრანიტის აყრა	კვ/მ	2,60	5,00	13,00
3	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-100მმ ფიტინგებით 4 წერტილზე	გრძ/მ	18,00	35,00	630,00
4	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-20მმ ფიტინგებით	გრძ/მ	13,00	30,00	390,00
5	იატაკზე გრანიტის აღგდგენა	კვ/მ	2,60	35,00	91,00
6	გამოტეხილი კედლების აღდგენა	კვ/მ	2,80	10,00	28,00
7	კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიის საღებავით (ფითხით ზეთოვანი - წებოვანი)	კვ/მ	16,00	15,00	240,00
8	არსებული პლასტიკატის დემონტაჟი და დასაწყობება	კვ/მ	4,16	2,00	8,32
9	არსებული პლასტიკატის მონტაჟი	კვ/მ	4,16	22,00	91,52
	ჯამი				1631,84

ლოკალურ რესუსრსული ხარჯთაღრიცხვა N3

ქ. ბათუმში, ი.ანდრონიკაშვილის ქ. N44-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღის საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემის ნაწილობრივი აღდგენაზე

N	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა/ მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი	საერთო ფასი (ლარი)
1	კედლის გამოტეხვა	წერტილი	2,00	35,00	70,00
2	ბეტონის საკანალიზაციო არხის ამოტეხვა და გაწმენდა	კბ/მ	3,50	150,00	525,00
3	იატაკიდან გრანიტის აყრა	კვ/მ	8,15	5,00	40,75
4	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-100 მმ ფიტინგებით	გრძ/მ	8,40	35,00	294,00
5	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-70 მმ ფიტინგებით	გრძ/მ	13,00	25,00	325,00
6	საკანალიზაციო მილების აღდგენა დ-20მმ ფიტინგებით	გრძ/მ	26,00	30,00	780,00
7	იატაკზე გრანიტის აღგდგენა	კვ/მ	8,15	35,00	285,25
8	გამოტეხილი კედლების აღდგენა	კვ/მ	0,40	10,00	4,00
	ჯამი				2324,00

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შენობის დასრულების სამუშაოების - ქ. ბათუმში, ვ. ფშაველას ქ N5-ში მდებარე მე-2, ვ. გორგასლის ქ. N51-ში მდებარე მე-3 და ი.ანდრონიკაშვილის ქ N44-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღების მოულოდნელად დაზიანებული წყალგაყვანილობის მილების აღმოჩენა და მათი შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით (SMP180002217 > თანხმობა) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შპს იორ ბუილდინგ კომპანი-LTD YOUR BUILDING COMPANY”-თან 2018 წლის 12 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N128 ხელშეკრულების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის პროცედურებში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების ---------- დავით ჩხაიძე

უფროსის მოადგილე